

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შამუგიას

ანგარიში

31.10. 2016 წელი

ანგარიში მოიცავს 2015 წლის 30 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდს.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის, მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიღებული მაქვს : 2015 წლის ნოემბერში, დეკემბერში-საკრებულოს 4 დადგენილებისა და 17 განკარგულების პროექტის განხილვაში, ხოლო 2016 წელს -29 დადგენილებისა და 70 განკარგულების პროექტის განხილვაში.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებისა და საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი



გიორგი შამუგია